

სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 280.

კვირა, 17 აპრილი 1911 წ.

დამატების № 49

მ ი მ ო ზ ა

(შელი)

ნაწილი ჰარველი.

ლამაზ მიმოზას, უმანკოდ მბრწყინავს,
ციური ნამი გულს ეკემოდა,
თან მზეს უშვერდა სპეტაკ ფურცლებსა,
რომ ფიქრებს ღამით კვლავ მისცემოდა.

უცხო წალკოტში, ვით ტრფობის ღმერთი
შეიქრა სხივი გაზაფხულისა,
მცენარეები გამოაღვიძა
და განუქარვა დარდი გულისა.

მაგრამ არც ბაღში და არც ტყე-ველად
არვის სწყუროდა გლახ სიყვარული,
ვით შველის ნუკრსა, მზეზე რომ იწვა
მიმოზასაებრ ფიქრში წასული.

წვიმამ და სითბომ ფერ-მიხდილ იას
და უკუდავას ძალა ჩაბერა;
იმთბა სუნმა დაატკბო არე,
ვით ნაზ სიმღერას ატკბობს სიმთ ეღერა.

იასამანი ტრფობით აენტო,
ნარგიზმაც ტურფად გადიხსნა გული
და წყალში შესტრფის თვისსავე სახეს,
სანამ არ დასწვავს ეს სიყვარული.

ზამბახი ეშხით თრთის და კანკალებს...
ვნებით აღვსილა... გაზაფხულია...
იმის ფურცლებში უუქით მოსილი
მშვენიერება ჩამარხულია.

ამაყად ზრდილი ლალი სუმბელი
აქ რომ თეთრია, იქ ცის ფერია;
მისი ფურცლების ნელი ჩურჩული
მის სუნზე უფრო მშვენიერია.


ვარდიც წამოდგა, ვით ფეერია,
რიდე გადიძრო თავს რომ უბურავს,
იმის გაღვდალ მკერდსა და გულზე
ცელქი ნიავი თრთოლვით დასცურავს.

თავს მალლა იღებს ტურფა სოსანიც,
ვით ვნების ღმერთი, ნაზ-მომხიბლავი...
აგერ მის გულზე ნამი დაგორდა
და მსწრაფლ აბრწყინდა, ვით ცის ვარსკვლავი.

ტიბეროზები სუნნელოვანი
და სხვა ყვავილნი აყვავებული—
აქ შეიკრიბნენ გაზაფხულის პირს
და მორთეს ბაღი დაობლებული.

მწვანე ხეხილნი წალკოტს ჩრდილს სცემენ,
ხან მზე შორიდან უკზანის ნათელს;
წყლის მცენარენი ტალღას ჰკოცნიან,
გადახვეულნი ერთმანეთის ყელს.

ქრისტეს ბეჭედნი ქრელ გროვად დგანან,
წალკოტი ჰყვავის გულ-ასაძგერად,
ნაკადული კი სიმღერით მირბის
და თანა ბრწყინავს უთვალავ ფერად.



სახელმწიფო სათათბიროს ახალი თავმჯდომარე
როდიანკო

ვიწრო ბილიკნი გრძელ არშიადა,
ვით გველნი, ხნულში იკლაკნებიან,
ხან რომ მოსჩანან დღის ნათელის ქვეშ,
ხან ხეთა ჩრდილში იკარგებიან.

აქ ვარდ-გვირილა უცხოდ გაშლილა
და მეფის ბუჩქი ჰყვავის ნელ-ნელა,
მათი ფურცლები მწუხრისა ეამსა
შუქს სცემენ, ვითა ციციანათელა.

ბაღში სამოთხის ოცნება დაჰქრის;
ვით ბავშვი, ახლად გაღვიძებული,
ღიმილით შესცქერს აკვნიდან დედას,
რომელსაც მისთვის შესტივა გული,—
ყვავილნიც ღებნით ცას შესცქერიან,
სადაც ანთია ოქროს სხივები
და შუადღის ეამს გარს ანათებენ,
ვით სინათლეზე ძვირფასი თვლები;

ხან თავ-დახრილნი სუნნელს აკმევენ,
ჩურჩულაღერსით ურთ-ერთს აქცევენ,
ვითა მიჯნურნი, რომელთა დღენი
მიჰქრიან ისე ჩქარა და მტკბარად,
რომ ქვეყნიური ცხოვრება გრძელი
გადაჰქცევიათ ნეტარ სიზმარად.

მხოლოდ მიმოზა, ნაზი მიმოზა
დაობლებული, მოწყენილია,
იმის სულ-გულში სხივი ტრფობისა
ღრმად და უმანკოდ ჩაბეჭდილია.

და ვაი, სუნიც გამოეცალა,
ლამაზ ფურცლებით ძირს ესვენება...

ჩუმის ოცნებით რაცა სწყუროდა,
კიდევ დაჰკარგა! — თვისი შევენება.


მსუბუქ, ნელ სიოს მიაქვს ფრთებითა
ამ ქვეყნის ხმები და ჟრიამული,
ყვავილთ კრება კი ჰხარობს, ნეტარებს
ლამაზ ფურცლებით კოხტად მორთული.

პეპელებს, ფრინველებს და მცენარეებს
ნეტარ სიზმართა ზღვა უაღერსებს
და ვით ზღაპარში, ამ მყუდრო ღამით
ტალღა ტალღასა უმღერის ლექსებს.

მხოლოდ არ სძინავს ერთსა ბუღბუღსა,
მისი სიმღერა ისმის ნარნარად
და ამ ჰანგს, თითქოს მთვარისთვის შეთხზულს,
ისმენს მიმოზა ბურანში წყნარად.

მან, ვითა ბავშვმა, უიქრით მოდლილმა,
ფურცელნი სევდით დაუშვა ძირსა...
ძილის ოცნებამ შორს გაიტაცა...
ღამე უმღერის ნელ ძილის პირსა.

რ. ბებიაშვილი.



ლევტოლსტოის სახელობის მუზეუმი.

პეპელათ გუნდი, ვით ზღვაზე ნავი,
ოქროთი ზღვსე და დატვირთული,
ყვავილთა გულზე დადის, მისკურავს
ზღვის ტალღასაებრ აზვირთებულნი.

ღრუბელთა გროვა დაბლა დაეშვა,
ყვავილ-ბალახებს გულში ეკვრება...
კეთილსა სუნნელს უხვადა სტაცებს
და ცის წიაღში უმაღვე ჰქრება.

იმათ მაგივრად დედამიწაზე
სხვები ჩნდებიან იმავე წამსა,
მათ შორის ნიავს გააქვს ჩურჩული,
ვით ზღვის ნაპირას მსუბუქ ლერწამსა.

ჰფიქრობს, ოცნებობს ნაზი მიმოზა,
ცვარ-ნაპკურები, გულ-განბანილი,
წუთნი მიჰქრიან ჩქარის ნაბიჯით
და ახლოვდება საღამოს ჩრდილი.

შუალამისა სიგრილემ დაჰკრა
ქვეყანას მაშვრალს, მიძინებულსა,
ბედნიერების ფრთა გაშლილი აქვს
სოფლად-მშვიდობას, ცად-სიყვარულსა.

პ ა ტ ი მ ბ ა

(გიუ-დე-მოპასანისა. ფრანგულიდან ჭთარგმნილი)

იგი იყო აღზრდილი იმნაირ ოჯახში, რომელიც კარ-
ჩაკეტილ ცხოვრებას ჰატარებს და რომელსაც შორს უჭირავს
თავი ყოველნაირ მოვლენისაგან. ამ ოჯახებს არ ესმით რა
პოლიტიკურ მოძრაობისა, თუმცაღა ხანდახან კიდევ ბაასო-
ბენ ხოლმე ამის შესახებ. მთავრობის გამოცვლა ხდება ისე
შორს, ისე შორს, რომ ლაპარაკობენ მასზე, როგორც
ისტორიულ მოვლენაზე, როგორცაა, მაგალითად, ლუი
XVI სიკვდილი და ნაპოლეონის ისტორია.

ჩვეულებანი იცვლება, მოდები ერთმანეთს მოსდევს.
ამას კი ვერ ამჩნევენ მშვიდ ოჯახში, სადაც ტრადიციულ
ჩვეულებათ იცავენ. თუ რომელიმე არასასურველ შემთხვევას
აქვს ხოლმე ახლო-მახლო ადგილი, იგი ვერც კი აღწევს
ოჯახის კერამდის. მხოლოდ მამა და დედა ოჯახისა საღამოს
ეპოს გაუზიარებენ ერთმანეთს აზრს ამის შესახებ და ისიც
დაბალის ხმით, თითქოს ეშინოდეთ კედლებსაც უური აქვს
და არ გაგვიგონონ. მამა ჩუმად იტყვის:

— იცოდი ეს საშინელი ამბავი რიფუალის ოჯახზე?
დედა უპასუხებს:

— ვინ იფიქრებდა! საშინელდება!..

ბავშვებსაც ექვი არ ებადებათ და უახლოვდებიან სიმ-
წიფის ხანას თვალბეჭე გონებაზე ჩადრ აფარებულნი,
უიქვენულოდ. მათ არ იციან, რომ არ ფიქრობენ ისე, რო-
გორც ლაპარაკობენ და არ ლაპარაკობენ ისე, როგორც
მოქმედებენ; ვერ მიმხვდარან, რომ ყველასთან ბრძოლაში
უნდა გაატარო შენი სიცოცხლე, ვერ შეუგნიათ, რომ ალალ-
მართალი მუდამ მოტყუებულია, გულწრფელი—მუდამ აბუ-
ჩად აგდებული, კეთილი—მუდამ ცუდად ვანსჯილი.

ზოგიერთნი საფლავშიაც კი ჩავენ იმ ბრმა რწმენით,
რომ ყველაფერი უმწიკვლოა, კეთილ-შობილი და პატიო-
სანი. იმდენად მართალნი არიან, რომ თვალბეჭე ვერაფერი
აუხელს.

მეორენი, რომელნიც ფეხს იტეხავენ ცხოვრების გზა-
ზე და აღელვებულნი, სასოწარკვეთილნი, ესალმებიან წუ-
თისოფელს, ჰფიქრობენ, რომ ისინი იყვნენ რაღაც არა-
ჩვეულებრივ ბედის სათამაშო ნივთი, საცოდავნი მსხვერპლნი
დამლუპველ მოვლენათა და კაცთა, განსაკუთრებით ბოროტ-
მომქმედთა.

— დღეს ბულვარი ვადავიარე.

ორჯერ თუ სამჯერ წელიწადში ქმარს თეატრში მიპ-
ყავდა. ეს ისეთი დღესასწაული იყო, რომლის მოგონებანი
თავის დღეში არ ჰქრებიან და რომელზედაც განუწყვეტილ
ლაპარაკობენ.

ხანდახან, სუფრაზე, სამი თვის შემდეგ, უცებ სიცილს
დაიწყებდა და წამოიძახებდა:


— გახსოვს, გენერლის ტანისამოსში გამოწყობილი ბრ-
ტისტი, პამალს რომ დასცინოდა?

ყოველნაირი ურთიერთობა განისაზღვრებოდა ორის
ოჯახით... ის ორი ოჯახი მისთვის კაცობრიობას წარმოად-
გენდა. მათ ისე არ აღნიშნავდა, რომ გვარებისათვის ჟები“
არ მიემატება—მარტინეები და მიშლენები.

ქმარი კი სცხოვრობდა, როგორც სურდა. სახლში მა-
შინ ბრუნდებოდა, როდესაც ნებავდა, ხანდახან გათენები-
სასაც მოდიოდა; მაშინ იგი საქმეებს მოიმიზნებდა ხოლმე,
თანაც დამშვიდებული იყო, დარწმუნებული, რომ არავითა-
რი ექვი არ აღაშფოთებს ალალ-მართალ ცოლის სულსა.

ერთს დილას ქალმა უსახელო წერილი მიიღო.

იგი დაიბნა, წერილი შეეზიზნა. უცხადებდნენ, რომ მის
ქმარს აგერ ორი წელიწადია ხასად ჰყავს ახალგაზდა ქვრივი,



ლევ ტოლსტოის სახელობის მუზეუმი.

საინიოლეზმა გაათხოვეს თვრამეტი წლის ქალი. იგი
გაპყვა ერთს ახალგაზდა ბარონელს, ეორჟ ბარონს, რომე-
ლიც ბირჟაზე საქმეებს აკეთებდა. იგი ლამაზი ყმაწვილი
იყო, კარგად ლაპარაკობდა, გარეგნულად ზრდილობის ყო-
ველნაირ კანონს იცავდა; მაგრამ გულის წიღრმეში კიდევ
დასცინოდა თავის მოხუც სიდერ-სიმამრს და მეგობრებში
„ჩემს ძვირფას ბებრუხანებს“ უწოდებდა.

კარგი ოჯახის შვილი იყო ქალიც; მდიდარი იყო. პა-
რიზს წაყიდნენ საცხოვრებლად; ქალი გადაიქცა ერთს იმ
პარიზელ პროვინციულად, რომელთა ჯურიც მრავალია. ვერ
გაიცნო ეს დიდი ქალაქი, ეს ბრწყინვალე საზოგადოება, ეს
სიამოვნება, ეს კოსტიუმები; შეუგნებელი დარჩა ყველა ეს
ისე, როგორც ცხოვრება, მისი დალატი და საიდუმლოებანი.

ოჯახში ჩაკეტილმა, თვინიერ თვისი ქუჩისა, არა იცო-
და რა და როდესაც ქალაქის სხვა ნაწილში მოხვდებოდა,
მას ეგონა, უცნობს და უცხო ქალაქში ვმოგზაურობო. სა-
ლამოს იტყოდა:

მადამ როსე, რომელთანაც იგი მთელ საღამოებს ატარებს.

მას არ შეეძლო არც ეთვალთმაქცა, არც დაეფარა,
არც ეხვედრა, არც ეეშმაქნა; როდესაც ქმარი სასაუბროდ
მოვიდა, უსახელო წერილი ესროლა და აქვითინებულმა თა-
ვის ოთახს შეაფარა თავი.

ქმარმა მაშინვე პასუხი დაამზადა, წავიდა და დაუკაკუნა
ცოლის ოთახის კარსა. ცოლმა კარები გაუღო, მაგრამ თვა-
ლები ვერ გაუშტერა. ქმარმა გაიღიმა,—დაჯდა, მიიზიდა ქა-
ლი, დაისვა მუხლებზე და ტკბილის, ცოტა დამცინა-
ვი ხმით უთხრა:

— ჩემო ძვირფასო პაწიავე, მე მართლაც მყავს მეგობ-
რად მადამ როსე, რომელსაც აგერ ათი წელიწადია ვიცნობ
და რომელიც დიდად მიყვარს; მე მეტსაც ვიტყვი, მე მყავს
კიდევ ოცი სხვა ნაცნობი ოჯახი, რომელზედაც შენთან არ
მილაპარაკებია, რადგან ვიცი, არ მისდევ საზოგადოების,
დღესასწაულებს და ახალ კავშირებს. მაგრამ, ერთხელ და

სამუდამოდ რომ ბოლო მოეღოს ამ საზიზღარ ბეზღებას, გთხოვ ნასაუზმევს ჩაიცვა და ვნახოთ ის ახალგაზდა ქალი, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, მალე დაუმეგობრდები.

კოლი მოეხვია ქმარსა და ქალურ ცნობის-მოყვარეობით გატაცებულმა, რომელიც არ ჩაქრება, თუ ერთხელ იჩინა თავი, უარი არ განაცხადა, თუმცა ქარის სიტყვებმა ეჭვები მიიწვევს ვერ ვაუფანრა...

იგი შევიდა ერთ ლამაზ სახლის მეოთხე სართულის კოპწიად და ხელოვნურად მოწყობილ სადგომში. ხუთი წუთის შემდეგ, მოხდენილად დაკეცილ ფარდებით დაჩრდილულ სალონში გამოჩნდა ახალგაზდა ქალი, შეფხვრემანი, პატარა, ჩასუქებული, გაკვირვებული და მომღიძარი.

ქორემა ისინი ერთმანეთს გააცნო.
— ჩემი მეუღლე, მადამ იულია როსე.

ახალგაზდა ქორემა ცოტათი განცვიფრებითა და სიხარულით შეჰვივლა და ხელზე გაშლილი გაეკანა. მას იმედი არა ჰქონდა—ამბობდა ქალი—ამ ბედნიერების ღირსებისა, რადგანაც იცოდა, რომ მადამ ბარონი არავის არ ნახულობდა; მაგრამ დახეთ როგორ გაბედნიერდა იგი! მას ისე უყვარდა ქორემა (ის სულ „ქორეს“ ამბობდა, მეგობრულს კილოთი), რომ ჰქონდა გიჟური სურვილი მისი ახალგაზდა მეუღლის გაცნობისა და შეყვარებისა.

ერთი თვის შემდეგ ორი ახალი მეგობარი ერთმანეთს არა სცილდებოდა. ისინი ჰხვდებოდნენ ყოველ-დღე, ხშირად დღეში ორჯერაც, ვახშობდნენ ყოველ საღამოს ერთად, ხან ერთთან, ხან მეორესთან. ახლა ქორემა უკვე აღარ გადიოდა შინიდან, გაჰქრა საქმეები, რადგან აღმერთებდა—ასე იტყოდა იგი—თავის ოჯახს, კერას.

ბოლოს დაიცალა ერთი ბინა იმ სახლში, სადაც მადამ როსე სცხოვრობდა. მადამ ბარონმა საჩქაროდ დაიქირავა იგი, რათა უფრო დაახლოვებულიყო და უფრო მჭიდროდ შეერთებულიყო ახალს მეგობართან.

ათი წლის განმავლობაში მათს მეგობრობას არავითარი ჩრდილი არ ადგებოდა, ჰქონდათ მეგობრობა სულისა და გულისა, ფაქიზი, დანდობილი, აღფრთოვანებული. ბერტას არ შეეძლო ლაპარაკი ისე, რომ არ წარმოეთქვა იულიას სახელი,—რაიც მისთვის უმწიკლოებას წარმოადგენდა.

იგი ბედნიერი იყო ნამდვილი, წყნარი და საამო მეგობრობით.

მაგრამ უცებ მადამ როსე ავად გახდა. ბერტა აღარ სცილდებოდა მთელ ღამეებს მის ლოგინთან ათენებდა, სასოწარკვეთილი. თვით ქმარსაც იმედი დეკარგა.

ერთს დილას ექიმმა, გაშინჯვის შემდეგ, გაიყვანა განზე ქორემა და მისი კოლი და გამოუტხადა, რომ მათი მეგობრის მდგომარეობა მეტად საშიში იყო.

ექიმის წასვლისთანავე ახალგაზდანი თავზარდაცემულნი დასხდნენ ერთმანეთის წინ; შემდეგ უცებ წასქდათ ქვითინი, ორივენი მთელი ღამე არ მოსცილებიან ავადმყოფის საწოლს; ბერტა ყოველ წამს სიყვარულით ჰკოცნიდა ავადმყოფს. ქორემა კი დუმულით ათვალისწინებდა მას.

მეორე დღეს ქორემა უფრო ცუდად გახდა.

ბოლოს, საღამოს ექიმს, მან გამოაცხადა, კარგადა ვარო და სთხოვა მეგობრებს შინ წასულიყვნენ სასადილოდ.

დადგრემილნი ისხდნენ სასადილოში და უგულოდა სჯამდნენ, როდესაც ქორეს გოგომ კონვერტი გადასცა. მან გახსნა ბარათი, წაიკითხა, გალურჯდა და ახირებულის ხმით უთხრა კოლის: „ღამიცადე, აუცილებლად უნდა წავიდე ცოტა ხნით, ათს წუთში დაგბრუნდები, განსაკუთრებით აქაურობას არ მოსცილდე“.

და იგი ქუდისათვის თავის ოთახში გაიქცა.

ბერტაც უცდიდა, შეწუხებული. მაგრამ, მიიწვევს არ უნდოდა მეგობართან ასულიყო ქმრის დაბრუნებამდის.

რადგანაც ქორემა დაიგვიანა, თავში აზრმა გაურბინა შესულიყო ქმრის ოთახში და გაეგო ხელთათმანი წაიღო, თუ არა. შესვლისთანავე დაინახა ხელთათმანი. ხოლო მის ახლოს კი ეგდო დაქმუქნილი ქალაღი; ეს ის ქალაღი იყო, რომელიც ეს იყო ეხლა გადასცეს ქორესა.

პირველად გაეღვა ცნობის-მოყვარეობა, დაგზადა უძლეველი სურვილი წაკითხვისა, გაგებისა. მისი ამბობიერებული სინდისი იბრძოდა. მაგრამ დაუწყნარებელ ცნობის-მოყვარეობით აღზნებულმა, მან გასწია ქალაღისაკენ ხელი. აიღო იგი, გახსნა, იცნო აკანკალებულის ხელით დაწერილი ბარათი წაიკითხა: „მოდო მარტო და მაკოცე, ჩემო საბრალო მეგობარო, ვკვდები“.

ჯერ ვერაფერ გაიგო. იდგა გამოურკვეველი. განსაკუთრებით მეგობრის სიკვდილის მოახლოვების ამბავმა გააშტერა. შემდეგ, უცებ, „შენობითა“ მიმართვამ გამოაფხიზლა; და ეს იყო მისთვის ის ელვა, რომელმაც გაანათა მისი არსება, რომელმაც გადუშალა მთელი სისაძაგლე სინამდვილისა, ღალატი, მთელი უზნეობა. გაეგო მათი დიდხნის ფილიობა, მათი გადახედვა, მისი მასხარად ადგებული კეთილი გრძობა, მისი მოტყუებული დანდობა. მოიგონა ყველა ეს და გული სიბოროტით აევისა, უსაზღვრო სასოწარკვეთილებაში ჩავარდა.

მოესმა ფხის ხმა; იგი გაიქცა და თავის ოთახში ჩაიკეტა.

ქმარმა მალე დაუძახა.

— მოდა ჩქარა, მადამ როსე კვდება.

ბერტა გამოჩნდა კარებთან და აკანკალებულის ტუჩებითა სთქვა:

— დაუბრუნდით მარტო თქვენ, იგი მე არ მსაქიროებს.

ქმარმა არეულად შეხედა კოლს და თავზარდამცემის წუხილით გაიმეორა:

— ჩქარა, ჩქარა, კვდება!..

ბერტამ უპასუხა:

— ხომ გერჩიათ, რომ იმის ალაგას მე ვყოფილიყავ? ქორემა გაიგო, რაშიაც იყო საქმე, მოსცილდა და მომაკვდავთან ავიდა.

იგი დაუფარავად სტიროდა ქვარესა და სრულებით უყურადღებოდ სტოვებდა ტანჯვას კოლისას, რომელიც აღარ ელაპარაკებოდა, არ უყურებდა, სცხოვრობდა მარტოდ, რომელსაც ეკიდებოდა სიძულვილის ხავსი, სიბრაზით დგოდებოდა და ლოცულობდა დილასა და საღამოს.

მიუხედავად ამისა, ისინი, ერთად სცხოვრობდნენ, სჯამდნენ, დადუმებულნი და სასოწარკვეთილნი.

ქმარი თანდათან მშვიდდებოდა, ხოლო კოლს არ უნდოდა ეპატიებია მისთვის. ტვირთად ქცეული ცხოვრება კი გრძელდებოდა.

ერთი წლის განმავლობაში იტანჯებოდნენ, ისე სცხოვრობდნენ, როგორც უცხონი.

ერთს დილას, ბერტა აღიონზე გავიდა სახლიდან და დაბრუნდა რვა საათისათვის ერი დიდი თაიგულით. თაიგული ვარდებისა იყო, მარტო თეთრა, თეთრი ვარდებისაგან.

ქმარს შეუთვალა, შენთან მოლაპარაკება მსურსო. ისიც მივიდა აღელვებული, შემფოთებული.

— გავიდეთ ერთად,—უთხრა ქმარს—წამოიღე ეს თაიგული.

ქმარმა ჩამოართვა თაიგული და გაჰყვა კოლსა. ჩასხდნენ ეტლში, რომელიც სასაფლაოს მოაჯირთან გაჩერდა. მაშინ თვალზე ცრემლ-მორეულმა ბერტამ, უთხრა ქორეს: — იმის საფლავთან მიმიყვანე.

ქმარი ცახცახებდა, არ კი იცოდა—რად გაუძღვა კოლს. იგი შეჩერდა თეთრ მარმალლოს წინ და ხმა ამოუღებლივ მიუთითა მასზე.

ქალი ჩამოართვა დიდი თაიგული, დაიჩოქა და მოწიწებით დასდო იგი სასაფლაოზე. შემდეგ მიეცა რაღაც საიდუმლო და მავდრებელ ლოცვას.

ქმარი სტიროდა.

ქალი ადგა, გაუწია ქმარს ხელი და უთხრა:

— თუ გნებავთ, ეხლა მეგობრები ვიყოთ!

სოლ. ახ—იანი.

